საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	72	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი : 29.05.21

თამარ ალფაიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას სხვა გარემოებებთან ერთად აღსანიშნავია მის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია რომლებიც გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ და გამოყოფენ მის ისეთ თვისებებს როგორიცაა დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, გაწონასწორებულობა, მაღალი რეპუტაცია, კომპეტენტურობა, შრომისმოყვარეობა, თავისუფალი აზროვნების სტილი, პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულება, სამართლიანობა. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		ფინანსური ვალდებულების შესრულების კუთხით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ალფაიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. **დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის კუთხით** შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები. **პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით** შეფასებისას, უნდა აღინიშნოს რომ კანდიდატი თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. გარშემომყოფთა მიმართ გამოირჩევა თავაზიანი დამოკიდებულებით. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძის მიმართ მიერ მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამო პასუხისმგებლობის ზომად სხვადასხვა დისციპლინური სახდელი: რექტორის 2018 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით მიეცა შენიშვნა საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო; ✓ რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო (მეორე შემთხვევა) დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა ერთი სალექციო მეცადინეობის ანაზღაურების ექვივალენტური ხელფასის დაკავება;

		✓ რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით მიეცა შენიშვნა მარტი-აპრილის თვეებში ლექციებზე/მეცადინეობებზე დაგვიანებების გამო; ✓ რექტორის 2019 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით მიეცა გაფრთხილება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლის გამო. რაც შეეხება მხარედ მის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას, საქართველო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფის - მენეჯმენტის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა სამოქალაქო საქმეში: დავის საგანი - თანხის გადახდის დაკისრება. შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად თამარ ალფაიძე დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით** შეფასებისას, გაითვალისწინება კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი. კანდიდატი - თამარ ალფაიძე მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის აკადემიური ნაშრომი იურიდიული მეცნიერების დარგში -"სამართალმცოდნეობის შესავალი"

			წარდგენილია საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად; **ფინანსური ვალდებულების კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ალფაიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ამ და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, მიმაჩნია რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის	**შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**		**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**14**	**25**	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს მის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე არ არის სათანადოდ მაღალი. გასაუბრებისას მან აღნიშნა, რომ მისთვის სამოსამართლო საქმიანობის განხორციელება საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიზანშეწონილი იქნებოდა სისხლის სამართლის მიმართულებით, თუმცა სამართლის ამ დარგში კანდიდატმა გამოავლინა მინიმალური ცოდნა.

			დასმულ შეკითხვების უმრავლესობაზე კანდიდატის პასუხები იყო ზედაპირული.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	25	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატმა კონკურსის ფარგლებში წარმოადგინა სამი სამეცნიერო პუბლიკაცია: - „ჰუმანური სამართალი; სამართლის ჰუმანური პრინციპები"; - „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება"; - „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება". უნდა ითქვას, რომ კანდიდატი საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით მეტნაკლებად გამართულად. წარმოდგენილი შემაჯამებელი ინფორმაცია და გასაუბრების დროს გამოვლენილი სამართლებრივი ცოდნა არ არის სიღრმისეული.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20	**წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით ძირითადად გამართულად, თუმცა ხარვეზები იყო წინადადებათა წყობის დროს.
პროფესიული თვისებები	12	15	**პროფესიული თვისებების კუთხით** კანდიდატის - თამარ ალფაიძის შეფასებისას გასაუბრებიდან და მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის

			გათვალისწინებით ყურადღება იქნა გამახვილებული მის ისეთ თვისებებზე როგორიცაა: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, გაწონასწორებულობა, მაღალი რეპუტაცია, კომპეტენტურობა, შრომისმოყვარეობა, თავისუფალი აზროვნების სტილი, პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულება, სამართლიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ალფაიძეს არ გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება სასამართლო სისტემის მიმართულებით, ამიტომ რთულად განჭვრეტადია მისი მოქმედებები სტრესულ სიტუაციაში.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	**აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ალფაიძე არის მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, არის სრული პროფესორი, (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის) კანდიდატი 2016 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (პროფესორი). კანდიდატი არის სალექციო კურსის ავტორი: - სამართალმცოდნეობის შესავალი; - საკანონმდებლო ტექნიკა; - მედია სამართალი და თვით რეგულირება; - კონსტიტუციური სამართალი; - ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერ უსაფრთხოება; ბოლო პერიოდში კანდიდატი ნაკლებ დროს უთმობს სამართლებრივ თვალსაწიერის გაფართოების კუთხით.
პროფესიული აქტივობა	5	5	**პროფესიული აქტივობის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა აღნიშნოს, რომ მას აქვს მონაწილეობა მიღებული არაერთ სემინარსა და შეხვედრაში. (ჩამონათვალი იხ. კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ

			ინფორმაციაში.) ასევე არის არაერთი სამართლებრივი წიგნის თანაავტორი, სტატიის ავტორი: - „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები"; თსუ, 2006; - „მედია სამართალი"; 2008; - „შესავალი სამართალმცოდნეობაში"; 2009; - „ სამართალმცოდნეობის შესავალი"; (მეორე გამოცემა); 2015.
ქულათა ჯამი	**72**	**100**	

სახელი გვარი: ირაკლი ზონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21